



**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზირი №150  
0112 თბილისი, საქართველო  
+995 32 2439503 / +995 32 2439510  
info@nea.gov.ge  
nea.gov.ge

25 ივლისი 2024



N 21/7739

**შპს „ეისიი მეტალს“**

მის: ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი 42

ელ. ფოსტა: [info@aceforwarding.ge](mailto:info@aceforwarding.ge)

**ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს  
სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს**

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 10 ივლისის N6937 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება საგლინავი საამქროს მოწყობასა და ექსპლუატაციას, გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 22 ივლისის წარმოდგენილი N16-01242043899 წერილის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება **სამრეწველო ზონა 1 (ს-1)**. ასევე, თბილისის გამწვანების თემატური რუკით ნაწილზე განსაზღვრულია შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სამრეწველო ზონა (ს-1) წარმოადგენს შერეულ სამრეწველო ქვეზონას და მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს; ს-1-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიფათო/მავნე საწარმოო პროცესები.

ამასთანავე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ცნობით, 2023 წლის 28 აპრილის N01231183836-67 განაცხადის საფუძველზე, მოთხოვნილი იყო მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.19.32.001.116 ფუნქციური ზონის ცვლილება, კერძოდ სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის სამრეწველო ზონა 2 (ს-2)-ით ცვლილება, რაზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 3 მაისის N23.609.706 განკარგულების საფუძველზე მიღებული იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება.

დანართის სახით, გიგზავნით სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 22 ივლისის N16-01242043899 წერილს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო წყვეტს სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

**დანართი:** ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/7739-21-2-202407250946>

